# თაობათაშორისი დამოკიდებულებების როლი ბიზნესორგანიზაციის პერსონალის პროდუქტიულობაში

# (Gen X, Y, Z)

**დავით ცომაია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025**

# აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევა ეხება ბიზნესორგანიზაციებში მომუშავე პერსონალის სამი თაობის წარმომადგენელთა (თაობები "იქსი", „იგრეკი" და "ზეტი") ურთიერთდამოკიდებულებების მიმართებას მათ პროდუქტიულობის ხარისხზე - თუ რა როლს თამაშობს სამუშაო სივრცეში გაჩენილი ე.წ. ატიტუდები პერსონალისა და, საერთოდ, ბიზნესორგანიზაციის ეფექტიანობაში, როგორი ტიპისაა მოცემული დამოკიდებულებები და რა შედეგებს დებს ამგვარი განწყობები ორგანიზაციის ატმოსფეროში თანამშრომელთა მუშაობის დონის კუთხით; ესე იგი, როგორ აფასებენ თანამშრომლები ინტერაქციების ფონზე აღქმულ პროდუქტიულობას და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ამ ცვლადების ურთიერთმიმართების კონცეფციას.

აღნიშნული თვისებრივი კვლევის შედეგად (ინტერვიუების საშუალებით) დადასტურდა წამოყენებული ორივე ჰიპოთეზა: რომ 1) თაობათაშორისი დამოკიდებულებები კავშირშია ორგანიზაციის პერსონალის პროდუქტიულობასთან და 2) ეს კავშირი ორმხრივია - როგორც ხსენებულ დამოკიდებულებებს გააჩნია აღქმული გავლენა ბიზნესორგანიზაციის პერსონალის პროდუქტიულობაზე, ისე პირიქით - პროდუქტიული გარემოც გარკვეულ როლს თამაშობს თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ნაშრომში წარმოდგენილია ჰიპოთეზებზე დაყრდნობით შედგენილი ინტერვიუს კითხვარის მეშვეობით რესპონდენტთა მიერ მოწოდებული პასუხებისა და შესაბამისად შეგროვებული მონაცემების თემატური ანალიზი (რა საკითხები გამოიკვეთა მონაწილეების პასუხებიდან გამომდინარე და რა მიაჩნიათ მათ მნიშვნელოვნად), შედეგების მიმოხილვა (როგორ უკავშირდება ხსენებული ცვლადები ერთმანეთს და როგორ აღწერენ ამ ურთიერთმიმართებას ისინი) და რეკომენდაციები (თუ როგორ ავირიდოთ თაობათაშორისი კონფლიქტები და როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი ინტერაქციები) ბიზნესორგანიზაციების მხრიდან მიღებული რეზულტატების სამომავლო პერსპექტივაში პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით.

## Abstract

The research of this master's thesis concerns the relationship between the attitudes of three generations of personnel working in business organizations (generations "X", "Y" & "Z") on the quality of their productivity - what role do the attitudes emerging in the workplace play in the effectiveness of personnel and, in general, the business organization, what types of interactions are given and what consequences such attitudes have in the organizational atmosphere in terms of the level of employee performance; that is, how employees evaluate the productivity perceived in the context of interactions and what importance they attach to the concept of the relationship between these variables.

As a result of the aforementioned qualitative research (through interviews), both hypotheses were confirmed: that 1) intergenerational attitudes are related to the productivity of the organization's personnel and 2) this relationship is two-way - both the above-mentioned attitudes have a perceived impact on the productivity of the business organization's personnel, and vice versa - the productive ambience also plays a certain role in shaping the interpersonal attitudes of employees.

The paper presents a thematic analysis of the responses provided by the respondents through an interview questionnaire compiled based on the hypotheses and the data collected accordingly (what issues were identified based on the participants' responses and what they consider important), a review of the results (how the given variables are related to each other and how the participants describe this relationship) and recommendations (how to avoid intergenerational conflicts and how to improve their interactions) regarding the practical application of the obtained results by business organizations in future.